ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №35

29 დეკემბერი 2022 წ.
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამ ოქროპირიძე, ანა გოგოლაძე, აკაკი ალადაშვილი,ნინო წულაძე.
მოწვეული სტუმრები:
სსიპ ქონების მართვის სააგენტო -თამარ ბიწაძე
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.
დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ალმას" (ს/ნ. 204873388) შორის 2021 წლის 19 აგვისტოს დადებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ" ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე

დღის წესრიგი დამტკიცდა.

თამარ ბიწაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების შესახებ" სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის ბრძანების საფუძველზე, გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონში. სააგენტოს მიერ 2021 წლის 04 აგვისტოს გაცემული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-599-2-26516 და №E-599-2-26515 ოქმების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 19 აგვისტოს №21.1142.1287 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას და შპს „ალმას" (ს/კ: 204873388) შორის 2021 წლის 19 აგვისტოს დაიდო ხელშეკრულებები „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ"

ნებართვის მფლობელმა წერილებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანა. წარმოდგენილი განცხადებებით ნებართვის მფლობელი ითხოვს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული რიგი არსებული სარეკლამო ობიექტების გაუქმებას და სანაცვლოდ, ამავე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზოგიერთი სარეკლამო ობიექტის პარამეტრების გაზრდას, ასევე რამდენიმე ახალი სარეკლამო ობიექტის დამატებას.

კომპანიის განმარტებით, სარეკლამო ობიექტების გაუქმებას განაპირობებს სხვადასხვა მიზეზი, მათ შორის: ცუდი ხილვადობა (მაგ.: ეფარება ხეები, ეფარება საგზაო ნიშანი, ეფარება ჯიხური, არ მოძრაობენ ავტომობილები ბილბორდის მიმართულებით), ტრანსპორტის მოძრაობის მიმართულების ცვლილება (მაგ.:

ქუჩის გაცალმხრივება, რის გამოც რეკლამის შესაბამის გვერდს დაეკარგა ფუნქცია), ქუჩის რეაბილიტაციის გამო ობიექტის აღება. მოთხოვნილი ცვლილების შესაბამისად, ჯამში უქმდება 3573.98 კვ.მ. ფართის არსებული სარეკლამო ობიექტები (მათ შორის, მოხდება 78 სარეკლამო ობიექტის სრულად აღება) და ემატება 2918.05 კვ.მ. ფართის სარეკლამო ფართი (მათ შორის, 7 ახალი ობიექტი). შესაბამისად, ჯამში ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სარეკლამო ფართი მცირდება 655.93 კვ.მ.-ით.

მომხსენებლის განმარტებით, ნებართვის მფლობელის მიერ წარმოდგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა აღნიშნული ცვლილების განხორციელების ფინანსური შედეგების შესახებ. აღნიშნული დასკვნის თანახმად, ნებართვის მფლობელის მიერ მოთხოვნილი სარეკლამო ფართების ზრდის საფასური არ აღემატება შემცირებული სარეკლამო ფართების ღირებულებას, შესაბამისად მოთხოვნილი ცვლილება ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ნებართვების გაცემის ფასზე უარყოფით გავლენას არ მოახდენს და ნებართვის მფლობელის მიერ დამატებითი ანაზღაურების ვალდებულებას არ წარმოშობს.

წარმოდგენილი ცვლილების პროექტით ასევე ხდება ხელშეკრულებებში არსებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გასწორება, მათ შორის, სარეკლამო ობიექტების გვერდების რაოდენობის რეალური მონაცემების ასახვა და სარეკლამო ობიექტების ერთი ხელშეკრულებიდან მეორეში გადატანა, მათი ფაქტობრივად განთავსების ადგილის შესაბამისად. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მარჯვენა სანაპიროს ხელშეკრულებაში ემატება 7 (შვიდი) ახალი სარეკლამო ობიექტი, რომლებიც არ იყო განთავსებული ხელშეკრულებების გაფორმებისას, მარჯვენა სანაპიროს ხელშეკრულების შესაბამის პუნქტში ხდება დაზუსტება იმის თაობაზე, რომ „ქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 41-ე მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო წესი არ ვრცელდება აღნიშნულ ახალ სარეკლამო ობიექტებზე.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ალმას" (ს/ნ 204873388) შორის 2021 წლის 19 აგვისტოს დადებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ" ხელშეკრულებებში ხდება ცვლილების შეტანა.

მომხრე-6 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ, ნინო წულაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლეოსბამ დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**